წერილის ნომერი: **24-2422143138**
თარიღი: **23/05/2022**

ადრესატი: ა(ა)იპ "ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"
მისამართი: ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას ქ.N1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის ა(ა)იპ

,,ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“-ს (ს/კ 420423866)

დირექტორს ბატონ ზვიად ქარჩავას

ბატონო ზვიად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი 2022 წლის 11 მაისის N71-2422131177 (რეგ. 06-2422131177-24. 11.05.2022) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის 2022 წლის 16 მაისის N7 ოქმის (საკითხი N2) გადაწყვეტილებით მოგეცათ თანხმობა, ადმინისტრაციული შენობის (მდებარე მისამართზე: ქ.ზუგდიდი.ზვიად გამსახურდიას გამზირი N1 საკადასტრო კოდი: 43.31.49.143) პირველ სართულზე მდებარე: 1. კაფეტერია 43,02 კვ.მ. სამზარეულო ოთახი - 8.95 კვ.მ. 2. კორიდორი - 6 კვ. მ. 3. დაცვის ოთახი - 20 კვ.მ. და მეორე სართულზე არსებული: 1. ტერასის: ა) ადმინისტრაციული შენობის ფასადის წინა მხარე -69,75 კვ.მ. ბ) ადმინისტრაციული შენობის მარჯვენა ფლიგელი -58,87 კვ.მ. 2. შენობაში უკანა შემოსასვლელი კარის მიმდებარედ „სველი წერტილების მოსაწყობად გამოყოფილი ადგილი“-ის - 11,2 კვ.მ.) სარგებლობაში, იჯარის ფორმით 3 წლის ვადით განკარგვის მიზნით, განმეორებითი ელექტრონულ აუქციონზე გატანაზე. საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრა 54 000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარის ოდენობით, ბიჯი განისაზღვრა 1000 (ათასი) ლარით, ბე განისაზღვრა 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გაითვალისწინოთ კომისიის გადაწყვეტილება და უძრავი ქონების აუქციონზე გატანა უზრუნველყოთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დადგენილი წესისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N94 დადგენილების შესაბამისად.

დანართი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი N7. 23 (ოცდასამი) ფურცელი.

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი